ეროვნული ბიბლიოთეკა

# მილიონთა ბიოგრაფია

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველთვიური გაზეთი * 1998 წლის ივნისი №3 ფასი 40 თეთრი

გალი - 1998 წლის მაისი.





## ამის დავიწყება არ შეიძლება!





## ნომერშია:

საქართველოს პრეზიდენტის
**ბრძანებულება**
საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის
საყოველთაო აღწერის მოწყობის
დამატებითი ღონისძიებების შესახებ

2

ციფრები ფაქტები 6

7

რის შესახებ
გვკითხავს
აღმწერი? ......... 3

გართულდა
მიგრაციული
პროცესების
აღწერა






......... 4

ხელისუფლება

# საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

**1998 წლის 17 მაისი** **ქ. თბილისი**

## საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მოწყობის დამატებითი ღონისძიებების შესახებ

საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მომზადებისა და მოწყობისათვის საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1995 წლის 20 ნოემბრის № 488 და საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 15 ივნისის № 307 ბრძანებულებათა შესაბამისად განვლილ პერიოდში მნიშვნელოვანი სამუშაოები განხორციელდა. ამავე დროს 1997 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში წარმოქმნილი სირთულეების გამო ვერ მოხერხდა სამუშაოთა ერთი ნაწილის შესრულება, რამაც გარკვეულწილად შეაფერხა აღწერის მოსამზადებელი სამუშაოები.

საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის დროულად და მაღალხარისხიანად მოწყობის მიზნით:

1. საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებმა ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტს მოსახლეობის აღწერის დადგენილ ვადებში მაღალხარისხიანად მომზადებასა და მოწყობაში.

2. საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 15 აპრილის № 115 განკარგულებით შექმნილმა მოსახლეობის აღწერის მოწყობის სახელმწიფო საორგანიზაციო კომისიამ კოორდინაცია გაუწიოს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებების მონაწილეობას აღწერის მომზადებასა და მოწყობაში.

3. ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით შექმნილი კომისიის თავმჯდომარეები პერსონალურად აგებენ პასუხს მათდამი რწმუნებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში აღწერის პროგრამით გათვალისწინებულ სამუშაოთა სრულად და დადგენილ ვადებში შესრულებისათვის.

4. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ (ი. მენაღარიშვილი) უზრუნველყოს საქართველოში მოქმედ საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენლობებში მომუშავე უცხოელ მოქალაქეთა და მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა აღწერა.

საზღვარგარეთ მოქმედმა საქართველოს წარმომადგენლობებმა და საკონსულოებმა უზრუნველყონ საქართველოს დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენლობებში მომუშავე საქართველოს მოქალაქეთა და მათთან მცხოვრებ ოჯახის წევრთა აღწერა.

5. საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ (დ. თევზაძე), შინაგან საქმეთა სამინისტრომ (კ. თარგამაძე), უშიშროების სამინისტრომ (ჯ. გახოკიძე), სხვა სათანადო უწყებებმა და სამსახურებმა უზრუნველყონ მათ დაქვემდებარებაში მყოფი მოსახლეობის სპეციალური კონტინგენტისა (სამხედრო მოსამსახურეების, მოსახლეობის სხვა სპეციალური ჯგუფების) და დახურულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის აღწერა.

6. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ უზრუნველყოს სააღწერო პერსონალის უშიშროება და სააღწერო დოკუმენტაციის დაცვა.

7. საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრომ (ფ. ინჯია) სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი და მისი ადგილობრივი ორგანოები აღწერის მომზადების, მოწყობისა და მისი მასალების დამუშავების პერიოდში უზრუნველყოს შეუფერხებელი სატელეფონო კავშირით, საფოსტო და სატელეგრაფო მომსახურებით სამთავრობო საფოსტო-სატელეგრაფო მომსახურების დადგენილი წესით.

8. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. ჭკუასელი) უზრუნველყოს აღწერასთან დაკავშირებული ღონისძიებების დროულად და სრულად დაფინანსება სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი კალენდარული გეგმის შესაბამისად.

9. თბილისის მერიამ (ბ. შოშიტაიშვილი) უზრუნველყოს თბილისში სააღწერო პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელების სათანადო დონე და კალენდარული ვადების მკაცრი დაცვა.

10. აღმასრულებელი ხელისუფლების სამთავრობო დაწესებულებების ტერიტორიულმა, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმა მოსახლეობის აღწერის პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უზრუნველყონ სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სამსახურები კავშირგაბმულობის საშუალებებით აღჭურვილი და სათანადოდ დაცული ფართობით.

11. სტატისტიკის საქალაქო (რაიონული) განყოფილების წარდგინებით აღმწერების, ინსტრუქტორ-კონტროლიორებისა და სააღწერო სექტორის გამგეების პერსონალურად დამტკიცება დაევალოს ქალაქის მერიას (რაიონის გამგეობას).

სააღწერო სამუშაოთი დასაქმებულ მუშაკებს მიეცეთ პირადობის მოწმობები ქალაქის მერის (რაიონის გამგებლის) და სტატისტიკის საქალაქო (რაიონული) განყოფილების უფროსის ხელმოწერით და ბეჭდით.

12. მოქალაქის მიერ აღმწერისათვის სააღწერო პროგრამით გათვალისწინებულ კითხვებზე ცნობების მიუწოდებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აღწერის შედეგად მოპოვებული პერსონალური ინფორმაცია კონფიდენციალურია და გამოიყენება მხოლოდ კრებსითი მაჩვენებლების მისაღებად. მისი გამჟღავნებისა და სხვა მიზნით გამოყენებისათვის დაწესებულია პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. საქართველოს ძნელმისადგომ და ნაწილობრივ ძნელმისადგომ რაიონებში მოსახლეობის აღწერა მოეწყოს დანართით განსაზღვრულ ვადებში.

14. საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა (თ. ბერიძე):

ა) უზრუნველყოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის მომზადება და მოწყობა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის 1995 წლის 20 ნოემბრის № 488, საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 15 ივნისის № 307 ბრძანებულებებისა და ამ ბრძანებულებასთან სრული შესაბამისობით;

ბ) პერიოდულად წარუდგინოს საქართველოს სახელმწიფო კანცელარიას და საქართველოს პრეზიდენტთან არსებულ საკონსულტაციო-ეკონომიკურ საბჭოს ინფორმაცია მოსახლეობის აღწერის მომზადების, მოწყობისა და მისი მასალების დამუშავების მიმდინარეობის შესახებ.

**ე. შევარდნაძე.**

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 17 მაისის № 327 ბრძანებულების დანართი

### ჩამონათვალი

### საქართველოს ძნელმისადგომი და ნაწილობრივად ძნელმისადგომი რაიონებისა, სადაც ვადაზე ადრე ეწყობა აღწერა

| ძნელმისადგომი რაიონები: | აღწერის მოწყობის ვადა |
|---|---|
| ლენტეხის | 1998 წლის 16-23 სექტემბერი |
| მესტიის | 1998 წლის 16-23 სექტემბერი |
| ყაზბეგის | 1998 წლის 16-23 სექტემბერი |
| ნაწილობრივად ძნელმისადგომი რაიონები: | |
| ახმეტის | 1998 წლის 16-23 სექტემბერი |
| ომალოს თემის საკრებულო | |
| დუშეთის | 1998 წლის 16-23 სექტემბერი |
| ხევსურეთის თემის საკრებულო | |
| გუდამაყრის თემის საკრებულო | |
| ქვემეთის თემის საკრებულო | |
| უკანაფშავის თემის საკრებულო | |
| მაღილის თემის საკრებულო | |
| გულრიფშის (აფხაზეთის ავტ. რესპ.) | |
| აჟარის თემის საკრებულო | 1998 წლის 3-10 სექტემბერი |

**საქართველოს სახელმწიფო კანცელარიის უფროსი**
**პ. მამრაძე.**

შეხვედრა

## როგორი გაზეთი გვინდა?

მოსახლეობის საყოველთაო აღწერისათვის მზადების პერიოდში საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა დააფუძნა გაზეთი „მილიონთა ბიოგრაფია“. უკვე გამოვიდა ახალი გაზეთის ორი ნომერი. რომ იტყვიან, წინ დიდი გზაც არის და დიდი პასუხისმგებლობაც.

„მილიონთა




ბიოგრაფიამ“ საკითხთა რომელი წრე უნდა მოიცვას, რომ ჟურნალ-გაზეთების ამჟამინდელ ლაბირინთში გზა გაიკვლიოს? — ამ თემას მიეძღვნა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტში ახლახან გამართული შეხვედრა, რომელშიც დეპარტამენტის მუშაკებსა და რედაქციის თანამშრომლებთან ერთად მონაწილეობდნენ დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური გეოგრაფიისა და სოციოლოგიის კათედრების, ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

შეხვედრაზე გამოიკვეთა საერთო აზრი: გაზეთი არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერით. მისი ინტერესების სფერო უნდა მოიცავდეს დემოგრაფიას, სოციოლოგიას, ეკონომიკას, სტატისტიკას... ითქვა ისიც, რომ თემატიკა ძალზე სპეციფიურია, ამიტომ სასურველი და აუცილებელია მაღალკვალიფიციურ ავტორთა მოზიდვა. საჭიროა შემუშავდეს პერსპექტიული გეგმა, რომლის მიხედვითაც წარმართავს რედაქციის კოლექტივი თავის საქმიანობას.

გამომსვლელებმა სასურველად მიიჩნიეს, რომ გაზეთმა შემოიღოს რუბრიკა „დიალოგი“, სადაც პასუხი გაეცემა დღევანდელობის ყველაზე მწვავე პრობლემებს. ცალკეული მასალები უნდა მიეძღვნას რეგიონების დღევანდელ მდგომარეობას. უნდა მომზადდეს მასალები ომამდე აფხაზეთის დემოგრაფიული ვითარების შესახებ.

მაგრამ მარტოოდენ „შინაური“ ცხოვრება სრულყოფილად ვერ წარმოაჩენს დღევანდელ პრობლემებს. შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გაშუქდეს უცხოეთის ქვეყნების გამოცდილებაც.

რჩევის, კეთილი სურვილების, საქმიანი წინადადებებისა და სათანამშრომლოდ მზადყოფნისათვის მადლობა ეკუთვნით ანზორ თოთაძეს (ჯანდაცვის სამინისტროს დემოგრაფიის დეპარტამენტის თავმჯდომარე), გია ფირცხალავას (ეკონომიკისა და სოციალური პრობლემების კვლევითი ინსტიტუტი), იზოლდა აბაშიძეს და ანზორ სახვაძეს (დემოგრაფიისა და სოციოლოგიური კვლევის ინსტიტუტი), ვაჟა გუჯაბიძესა და ნუგზარ კვაჭაძეს (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), გრიგოლ ფანცულაიას (საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი), თეიმურაზ ტორონჯაძეს (საქართველოს სტატისტიკოსთა ასოციაცია), ნანა გაწერელიას (სტატისტიკის დეპარტამენტი), განსაკუთრებით კი სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილეს მერაბ ჭირაქაძეს — ამ შეხვედრის იდეის ავტორსა და ხორცშემსხმელს.

სალომე მახარაძე.

სიტუაცია

## სანამ ქვეყანა გამთლიანდება

1999 წლის აღწერა იმითაც არის გამორჩეული, რომ ქვეყნის დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის გამო, აღწერა არ მოიცავს სრულიად საქართველოს. ამის თაობაზე საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი განმარტავს:

საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერა ეხება საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიას.

ცხინვალის რეგიონიდან აღიწერება მხოლოდ გორის რაიონზე მიერთებული ერედვისა და ქურთის სასოფლო თემები, ხოლო აფხაზეთიდან — გულრიფშის რაიონის აჟარის სოფლის თემი (კოდორის ხეობაში). ქარელის რაიონთან შეერთებული ყორნისის რაიონი, გორის რაიონთან შეერთებული ცხინვალის რაიონი, ონის რაიონთან — ჩასავლის და კიროვის სოფლის თემის საკრებულოები, საჩხერის რაიონთან — სინაგურის სოფლის თემის საკრებულო და ახალგორის რაიონში წინაგარის და ზახორის სოფლის თემის საკრებულოები, ცნობილი მიზეზების გამო, ჯერ კიდევ თვალსაწიერის გარეშე რჩება.

ჩვენი მოსაზრებით, ახლანდელ პირობებში, ზემოთ დასახელებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის აღწერა და იქ არსებული ეროვნული შემადგენლობის ასახვა სეპარატისტული მთავრობის წისქვილზე წყლის დასხმა და ამ ტერიტორიაზე ქართველი მოსახლეობის ეროვნულ უმცირესობად დაკანონებაა. ამიტომ, საჭიროდ მიგვაჩნია, ცოტა ხანს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და იქ მოსახლეობის ცხოვრების პოლიტიკური, მორალურ-ზნეობრივი და ეკონომიკური სტაბილიზაციის გარკვეულ პერიოდშიც კი, აღწერისგან თავის შეკავება, ამას მხარი დაუჭირა აფხაზეთის ლეგიტიმური მთავრობის ხელმძღვანელობამ სტატისტიკის დეპარტამენტის მუშაკებთან შეხვედრისას.

რაც შეეხება ლტოლვილების აღწერას, საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის ჩატარებისა და სააღწერო დოკუმენტაციის შევსების წესის შესახებ ინსტრუქციით, ეს მოხდება მათი დღევანდელი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, როგორც მუდმივად მცხოვრები მოსახლეობისა და სააღწერო ფურცლის კითხვის პასუხად ჩაეწერებათ წელი, რომლიდანაც აქ უწყვეტად ცხოვრობენ, წინა საცხოვრებელი ადგილი, რომელი დასახლებული პუნქტიდან ჩამოვიდნენ (ქალაქიდან, სოფლიდან) და არიან თუ არა „იძულებით ადგილნაცვალი“.

ხოლო მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ლეგალური თუ არალეგალური მიგრაციის შედეგად ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს, აღიწერება უცხოეთში, როგორც მუდმივი მოსახლეობა, თუ მისი უცხოეთში ყოფნა მოიცავს 12 თვეს და მეტს, ან მიღებული აქვს საცხოვრებელი ადგილის ქვეყნის მოქალაქეობა და აქ, საქართველოში, სააღწერო დოკუმენტაციაში საერთოდ არ შეიტანება.

დიპლომატიურ და სხვა წარმომადგენლობებში საზღვარგარეთ მომუშავე საქართველოს მოქალაქე, აგრეთვე, მასთან მცხოვრები მისი შინამეურნეობის წევრები, აღიწერებიან საზღვარგარეთ მათი ცხოვრების ადგილზე, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლობების მიერ, საქართველოში საცხოვრებელი ადგილის მიხედვით კი სააღწერო დოკუმენტაციაში არ შეიტანებიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დოკუმენტი

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

ფორმა № 1
დამტკიცებულია საქსტატის მიერ
1997 წ. 30. 12 №128-ს ბრძანებით

აღნიშვნების დასმის ნიმუშები - სწორია: ☒ არასწორია: ⧅ ⧄
ციფრების ჩაწერის ნიმუშები: 0 1 2 3 4 5 6 7 8 9

# საქართველოს მოსახლეობის 1999 წ. საყოველთაო აღწერა

## საცხოვრისში მცხოვრებთა სია და საბინაო პირობები

№...............

საალწერო სექტორის № ☐ საინსტრუქტორო უბნის № ☐ საალწერო უბნის № ☐ საცხოვრისში მცხოვრებთა სიის № ☐ ბლანკის № ☐

ავტონომიური რესპუბლიკა ................ თემის (სოფლის) საკრებულო ................

რაიონი ................ სოფელი ................

ქალაქი, დაბა ................ დაწესებულება ................

მისამართი ................ ................

## I. საცხოვრისში მცხოვრებთა სია

| რიგითი № | | გვარი, სახელი, მამის სახელი | დროებით არმყოფი | დროებით მცხოვრები | დროებით არყოფნისა და დროებით ცხოვრების | |
|---|---|---|---|---|---|---|
| საცხოვრისის ფარგლებში | შინამეურნეობის ფარგლებში | | | | მიზეზი | ხანგრძლივობა |
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| ☐ | ☐ | | ☐ | ☐ | | |

## II. მოსახლეობის საბინაო პირობები

(კითხვები ივსება შინამეურნეობებზე)

| შინამეურნეობის პირველი წევრის რიგითი ნომერი საცხოვრისის ფარგლებში | ☐ არა ☐ | ☐ არა ☐ | ☐ არა ☐ |
|---|---|---|---|
| 1ს. საცხოვრისის ტიპი | ინდივიდუალური სახლი ☐<br>ინდივიდუალური სახლის ნაწილი ☐<br>ცალკე ბინა ☐<br>საერთო (კომუნალური) ბინა ☐<br>საერთო საცხოვრებელი ☐<br>სხვა ინსტიტუციონალური დაწესებულება ☐<br>სასტუმრო, დასასვენებელი სახლი და სხვა ☐<br>სხვაგვარი საცხოვრისი ☐<br>საცხოვრებლად გამოყენებული არასაცხოვრისი ☐ | ინდივიდუალური სახლი ☐<br>ინდივიდუალური სახლის ნაწილი ☐<br>ცალკე ბინა ☐<br>საერთო (კომუნალური) ბინა ☐<br>საერთო საცხოვრებელი ☐<br>სხვა ინსტიტუციონალური დაწესებულება ☐<br>სასტუმრო, დასასვენებელი სახლი და სხვა ☐<br>სხვაგვარი საცხოვრისი ☐<br>საცხოვრებლად გამოყენებული არასაცხოვრისი ☐ | ინდივიდუალური სახლი ☐<br>ინდივიდუალური სახლის ნაწილი ☐<br>ცალკე ბინა ☐<br>საერთო (კომუნალური) ბინა ☐<br>საერთო საცხოვრებელი ☐<br>სხვა ინსტიტუციონალური დაწესებულება ☐<br>სასტუმრო, დასასვენებელი სახლი და სხვა ☐<br>სხვაგვარი საცხოვრისი ☐<br>საცხოვრებლად გამოყენებული არასაცხოვრისი ☐ |
| 2ს. საცხოვრისის საკუთრება | შინამეურნეობის (ან მისი რომელიმე წევრის) ინდივიდუალური საკუთრება ☐<br>მუნიციპალური საკუთრება ☐<br>სახელმწიფო, საუწყებო (სამინისტროს, უწყების) საკუთრება ☐<br>ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრება ☐<br>ქირაობს საცხოვრისს ☐<br>უსახლკარო ☐ | შინამეურნეობის (ან მისი რომელიმე წევრის) ინდივიდუალური საკუთრება ☐<br>მუნიციპალური საკუთრება ☐<br>სახელმწიფო, საუწყებო (სამინისტროს, უწყების) საკუთრება ☐<br>ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრება ☐<br>ქირაობს საცხოვრისს ☐<br>უსახლკარო ☐ | შინამეურნეობის (ან მისი რომელიმე წევრის) ინდივიდუალური საკუთრება ☐<br>მუნიციპალური საკუთრება ☐<br>სახელმწიფო, საუწყებო (სამინისტროს, უწყების) საკუთრება ☐<br>ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრება ☐<br>ქირაობს საცხოვრისს ☐<br>უსახლკარო ☐ |
| 3ს. დაკავებული საცხოვრებელი ოთახების რაოდენობა | ☐ ოთახის ნაწილი ☐ | ☐ ოთახის ნაწილი ☐ | ☐ ოთახის ნაწილი ☐ |
| 4ს. ფართობის სიდიდე (კვ.მ) | საერთო ☐<br>საცხოვრებელი ☐ | საერთო ☐<br>საცხოვრებელი ☐ | საერთო ☐<br>საცხოვრებელი ☐ |

# რის შესახებ გვკითხავს აღმწერი?

მოსახლეობის აღწერის ამოცანაა მიიღოს მონაცემები მოსახლეობის რიცხოვნობის, შემადგენლობის, სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიული ნიშნის და საბინაო პირობების შესახებ.

საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერის კითხვარი შეიცავს ხუთ ფორმას. ესენია: ფორმა №1 – საცხოვრისში მცხოვრებთა სია და საბინაო პირობები, ფორმა № 2 – საალწერო ფურცელი, ფორმა № 3 – საკონტროლო საალწერო ფურცელი, ფორმა № 4 – საკონტროლო სათვალავი, ფორმა № 5 – ცნობა აღწერის გავლის შესახებ.

აღმწერი, თქვენს ბინაში მოსვლისას, არკვევს, რამდენი შინამეურნეობა ცხოვრობს მოცემულ საცხოვრისში, ვინ უნდა აღიწეროს როგორც დროებით მცხოვრები და დროებით არმყოფი. შემდეგ ის ჩაწერს მოცემული ბინის მისამართს და ავსებს ფორმა № 1-ის პირველ განყოფილებას – საცხოვრისში მცხოვრებთა სიას. შინამეურნეობის წევრთა სურვილით, პირველი ჩაიწერება ერთ-ერთი უფროსი წევრი, ხოლო შემდეგ – სხვა წევრები. სიის პირველ სვეტში მიეთითება პირის რიგითი ნომერი საცხოვრისის ფარგლებში, მეორე სვეტში – რიგითი ნომერი შინამეურნეობის ფარგლებში, მეოთხე და მეხუთე სვეტებში კეთდება აღნიშვნა დროებით მცხოვრებთა და დროებით არმყოფთა შესახებ მიზეზისა და ხანგრძლივობის ჩვენებით.

ჩაწერს რა ყველა შინამეურნეობას და თითოეული შინამეურნეობის ყველა წევრს, აღმწერი ავსებს ფორმის მეორე განყოფილებას – მოსახლეობის საბინაო პირობები, თითოეულ შინამეურნეობაზე ცალ-ცალკე.

პირველ ხაზზე ჩაიწერება შინამეურნეობის პირველი წევრის ნომერი საცხოვრისის ფარგლებში.

**კითხვაში 1ს** – საცხოვრისის ტიპი, აღმწერი აღნიშნავს, თუ რა ტიპის საცხოვრისში ცხოვრობს შინამეურნეობა: ინდივიდუალურ სახლში თუ მის ნაწილში, ცალკე ბინაში, საერთო (კომუნალურ) ბინაში, საერთო საცხოვრებელში, სხვა ინსტიტუციონალურ დაწესებულებაში (ყაზარმა, მონასტერი და სხვა), სასტუმროში, დასასვენებელ სახლში, სხვაგვარ არატრადიციულ საცხოვრისში, თუ საცხოვრებლად გამოყენებული აქვს არასაცხოვრისი (თავლა, ფარეხი და სხვა).

**2ს კითხვის** პასუხში, იმის შესახებ, თუ ვისი საკუთრებაა საცხოვრისი, აღმწერი აღნიშნავს, რომ საცხოვრისი შინამეურნეობის ან მისი რომელიმე წევრის, მუნიციპალური, სახელმწიფო, საუწყებო, ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობის საკუთრებაა, ან შინამეურნეობა ქირაობს საცხოვრისს. აქვე დაესმით აღნიშვნა იმ პირებს, რომელთაც არ აქვთ საკუთრებაში საცხოვრისი, ე.ი. უსახლკარონი არიან.

**კითხვა 3ს.** დაკავებული საცხოვრებელი ოთახების რიცხვი.

შინამეურნეობას აღენიშნება ოთახების ის რაოდენობა, რაც მას აქვს დაკავებული. ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საცხოვრებელ ოთახებად ითვლება, აგრეთვე, მანსარდები, მთელი წლის განმავლობაში მუდმივი ცხოვრებისათვის გამოსადეგი და მოწყობილი დათბილული ტერასები და ვერანდები.

თუ შინამეურნეობას დაკავებული აქვს მხოლოდ ოთახის ნაწილი, მაშინ დაისმის აღნიშვნა – ოთახის ნაწილი.

**კითხვა 4ს.** ფართობის სიდიდე (კვ. მ).

პასუხში მიეთითება საერთო და საცხოვრებელი ფართობი მთელ კვადრატულ მეტრებში.

საერთო ფართობში განისაზღვრება როგორც ყველა საცხოვრებელი ოთახის (მთელი წლის განმავლობაში მუდმივი ცხოვრებისათვის გამოსადეგი და მოწყობილი დათბილული ტერასების და ვერანდების) და დამხმარე სათავსოების (სამზარეულოების, ჰოლების, ბინის შიდა დერეფნების, აბაზანების და საშხაპეების, ტუალეტების, სამეურნეო სათავსოების) ფართობთა ჯამი.

საცხოვრებელ ფართობში ჩაირთვება ყველა საცხოვრებელი ოთახის ფართობი.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ კითხვები 3ს და 4ს შეევსება მხოლოდ მუდმივად მცხოვრებ შინამეურნეობას. მოცემულ საცხოვრისში დროებით მცხოვრებთ, აგრეთვე, უსახლკაროებს, პასუხი ამ კითხვებზე არ შეევსებათ.

**რაჟდენ გელაძე,**
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მოსახლეობის აღწერის სამმართველოს უფროსის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოზიცია

# გართულდა მიგრაციული პროცესების აღწერა



სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდებისა და შესაბამისი ინსტრუმენტარის მეშვეობით, დემოგრაფიული სტატისტიკა შეისწავლის მოსახლეობის რიცხოვნობისა და მისი სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობის ცვლილებებს, აგრეთვე, მიგრაციულ პროცესებს, მოსახლეობის ბუნებრივ მოძრაობას (დაბადება, გარდაცვალება, ქორწინება და განქორწინება).

მოსახლეობის სტატისტიკის სრულყოფა დამოკიდებულია აღრიცხვის პირველად მასალაზე, რომელიც მიიღება იუსტიციის, ჯანდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების დაქვემდებარებაში მყოფი ადგილობრივი ორგანოებიდან, შესაბამისი სააღრიცხვო ფორმების სახით.

ამ ყოველთვიური ინფორმაციის მონაცემთა ბაზაში სისტემატურად შეტანით ხდება მისი კომპიუტერული დამუშავება ყოველთვიური და წლიური პერიოდულობით, რის შედეგადაც კეთდება შესაბამისი გათვლები.

ბოლო ათწლეულში საქართველოში გააქტიურდა მიგრაციული პროცესი, რომელიც განსაკუთრებული ინტენსივობით გამოირჩეოდა 90-იანი წლების დასაწყისში, დღეისათვის ქვეყანაში ჯერ კიდევ დაბალია შრომისუნარიანი მოსახლეობის მასობრივი მაღალპროდუქტიული დასაქმების შესაძლებლობა. ეს კი ქმნის ობიექტურ წანამძღვრებს, რათა გაგრძელდეს ემიგრაციული პროცესები, რაც თავის მხრივ ხელს შეუშლის საქართველოს ეკონომიკური აღორძინების მყარი საძირკვლის შექმნას. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ 90-იანი წლებიდან თანდათან დაირღვა აღრიცხვიანობის ძველი სისტემა, გართულდა მიგრაციული პროცესების აღრიცხვა და აქედან გამომდინარე, ვერ ხერხდება ამ მიმართებით რეალური მდგომარეობის სრულად ასახვა.

ამდენად, მეტად აქტუალურია სრული და საიმედო ინფორმაციის მოპოვების უზრუნველსაყოფად პირველადი აღრიცხვის მოწესრიგება და გაუმჯობესება. 1999 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის თვალსაზრისით ამ საკითხის მოგვარება მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც გამოსამუშავებელია შესაბამისი პოლიტიკა და მოსაძებნია მართვის მექანიზმები. ამის ეფექტიან და სწრაფ საშუალებას, როგორც ერთ-ერთი მეთოდი, წარმოადგენს მოსახლეობის სპეციალური შერჩევითი გამოკვლევა, მით უფრო, რომ დღეისათვის შესაბამისი ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზა, უკეთეს შემთხვევაში, ფორმირების პროცესშია. აქტუალურია, აგრეთვე, აღნიშნული მიმართულებით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების საკითხი.

მიზანშეწონილი იქნებოდა შესაბამისი ინფორმაციის მოზიდვა და დამუშავება, როგორც რეგიონულ, ასევე რაიონულ ჭრილებში, გაფართოებული სახით, კერძოდ:

- დაბადებულთა, გარდაცვლილთა, დაქორწინებულთა და განქორწინებულთა განაწილება სქესის, ასაკის, ეროვნების და ოჯახური მდგომარეობის მიხედვით;
- ახალშობილთა განაწილება დაბადების რიგითობის, დედის ასაკის, ოჯახური მდგომარეობისა და ეროვნების მიხედვით;
- გარდაცვლილთა განაწილება გარდაცვალების მიზეზების მიხედვით;
- მიგრანტთა განაწილება სქესის, ასაკის, განათლების, პროფესიის, ეროვნების მიხედვით.

დღეისათვის არსებული შობადობის დონე საკმაოდ დაბალია და საკმარისი არ არის მარტივი აღწარმოებისათვის. დაბადებულთა რიცხოვნობის შემცირების მიზეზების გამოსავლენად მიზანშეწონილი იქნებოდა დემოგრაფიული გამოკვლევა. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ საეკლესიო რიტუალების გავრცელებამ შეამცირა სამოქალაქო ქორწინებაში რეგისტრირებულთა რიცხვი. ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ქორწინებაში რეგისტრაციის გარეშე დაბადებულთა წილის ზრდას (1990 წელს – 19 პროცენტი, 1996 წელს – 30,9 პროცენტი, 1997 წელს – 39%).

ჩვენი ვარაუდით, გარდაცვლილთა რიცხოვნობის შემცირება გამოწვეულია არასრული აღრიცხვით, ერთ-ერთ ფაქტორად შეიძლება დავასახელოთ ის, რომ გარდაცვალების მოწმობის აღება ფასიანია, არაოფიციალური ინფორმაციით, 20-25 ლარი ჯდება. ჩვენს მიერ იუსტიციის სამინისტროდან მიღებული სატელეფონო ინფორმაციით, გარდაცვალების მოწმობის ღირებულება შეადგენს 1,5 ამერიკული დოლარის შესაბამის ექვივალენტს ეროვნულ ვალუტაში, ხოლო დაბადების მოწმობისა – 1 აშშ დოლარის ექვივალენტს.

საჭიროა ყველა იმ მიზეზის დადგენა, რაც ხელს უშლის რეალურ აღრიცხვიანობას. გარდა ამისა, საქართველოს მოსახლეობის სიკვდილიანობის ცხრილების აგების შესახებ ინფორმაცია არ გაგვაჩნია 1990 წლიდან, სიკვდილიანობის ცხრილი კი ისეთი მნიშვნელოვანი მაჩვენებლის გაანგარიშების საშუალებას გვაძლევს, როგორიცაა სიცოცხლის საშუალო მოსალოდნელი ხანგრძლივობა და მოსახლეობის სიკვდილიანობის დონის დამახასიათებელი სხვა აგრეგირებული მაჩვენებლები. ამ მიმართულებით დაწყებულია თანამშრომლობა შვედეთის სტატისტიკის სამსახურთან.

დღეისათვის მეტად აქტუალური საკითხია მიგრაცია. დიდია იმ პირთა რიცხვი, რომლებიც ტოვებენ ქვეყანას სხვადასხვა მიზეზით, მათ შორის შრომითი მიგრაციის საბაბით. ამ კატეგორიის აღრიცხვის შესაძლებლობის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს სპეციალური გამოკვლევა.

მიგრაციული კვლევები საშუალებას მოგვცემს ქვეყნის მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშებისათვის განვსაზღვროთ მიგრაციის მიზეზები და მიმართულებები, აგრეთვე, საქართველოდან რეალურად წასული მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი და სოციალური სტრუქტურა, რაც მოსახლეობის რიცხოვნობის გაანგარიშების საფუძველია.

გამოკვლევათა მიღმა არ უნდა დარჩეს და მუშაობის პერსპექტიულ მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს ისეთი სახის კვლევები, როგორიცაა მიგრაციული ნაკადების ფაქტობრივი მდგომარეობა, მიგრაციის პროცესის ძირითადი ეკონომიკური ეფექტები და განმაპირობებელი მოტივები, გავრცელების გეოგრაფია და სხვა.

აღნიშნული თემები (პროექტები) საჭიროებს შესაბამის ტექნიკურ და მატერიალურ უზრუნველყოფას. დაფინანსების რეალურად არსებობის შემთხვევაში, გამოკვლევათა შედეგად მიღებული შეფასებები და ანალიტიკური მასალები ხელისუფლების ორგანოებს საშუალებას მისცემს მოიღონ მოვლენათა რეალური სურათი და პროგნოზების გათვალისწინებით გაატარონ პრობლემის მოწესრიგების პრევენტული ღონისძიებები.

ალექსანდრე ვადაჭკორია,
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დემოგრაფიული სტატისტიკის სამმართველოს უფროსი.

## დედაქალაქი

# თბილისი დიდია. როგორ დავთვალოთ უშეცდომოდ?

უაღრესად რთული პერიოდი, რაც ყოფილი იმპერიის რღვევამ გამოიწვია, უკან რჩება. საქართველო ნელა, მაგრამ მაინც გამოდის მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან. და, აი, ასეთ ვითარებაში, 1999 წელს განზრახულია მოსახლეობის საყოველთაო აღრიცხვა, რომელმაც მრავალ კითხვას უნდა გასცეს პასუხი. აღწერის შედეგები საფუძვლად დაედება ქვეყნის შემდგომ ცხოვრებას, დააჩქარებს ნგრევის მიზეზით გამოწვეული სიძნელეების აღმოფხვრას.

აღწერისათვის ერთ-ერთი რთული და სერიოზული უბანი თბილისია. და არა მარტო იმიტომ, რომ დედაქალაქში ამჟამად გაცილებით მეტი ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე წინა აღწერის დროს დაფიქსირდა. სირთულე იმანაც განაპირობა, რომ ძალზე დიდია მოქალაქეთა მოძრაობა სოფლებიდან ქალაქში და პირიქით. როგორ მოვახერხოთ, რომ შეცდომები გამოვრიცხოთ და სინამდვილესთან მაქსიმალურად მიახლოებული სურათი მივიღოთ? ამ საკითხებზე გვესაუბრა სახელმწიფო სტატისტიკის თბილისის საქალაქო სამმართველოს უფროსი დავით კბილაძე.

– მომავალი აღწერა უპირველესად იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მას ჩვენით, სხვათაგან უკარნახოდ ვახორციელებთ – საქართველო წარმოჩინდება, როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა. აღწერამ უნდა უპასუხოს კითხვას – ვინა ვართ და რანი ვართ. საგულისხმოა ისიც, რომ ამ ღონისძიებისათვის აუცილებელი ყველა საბუთი ჩვენ მოვამზადეთ. მათში გათვალისწინებულია სხვათა გამოცდილებაც და გაეროს რეკომენდაციებიც.

**– ვინ აფინანსებს ღონისძიებას?**

– რა თქმა უნდა, ბიუჯეტი. მოსამზადებელი სამუშაოებისათვის გამოყოფილია 300 ათასი ლარი. საქალაქო მეურნეობის მომზადებაში ძალიან დაგვეხმარა მერია. უკვე დასრულდა სამისამართო მეურნეობის მოწესრიგება. დიდი სიძნელეები შეგვექმნა კარტოგრაფიული სქემების მომზადებაში, რასაც, სულ ცოტა, 200 ათასი ლარი სჭირდებოდა, მაგრამ 65 ათასზე მეტი ვერ მოგვცეს. მიუხედავად ამისა, ათივე რაიონის გეგმები უკვე ხელთა გვაქვს. ამის მიხედვით შეიქმნება სააღწერო და საინსტრუქტორო სექტორები. ახლა ვადგენთ აღწერის სამუშაო გეგმებს. უკვე ვიცით, რომ 4364 კაცი სააღწერო პერსონალი გვეყოლება. ვითვალისწინებთ აუცილებელ რეზერვსაც.

**– ხომ არ დაგვიკონკრეტებთ, ეს 4364 კაცი როგორ „დაპროფილდება“?**

– 3572 აღმწერი გვეყოლება, 690 ინსპექტორ-კონტროლიორი, 102 სააღწერო სექტორის გამგე. ერთმა აღმწერმა საშუალოდ 455 მოქალაქე უნდა აღწეროს. ეს პროცესი კი 8 დღეს გაგრძელდება.

**– რა პრინციპით მოხდება აღწერა – საცხოვრებელი თუ სამუშაო ადგილის მიხედვით?**

– მხოლოდ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით! ერთადერთი გამონაკლისია სპეციალური კონტინგენტის მქონე უწყებები – სამხედრო ნაწილი, საავადმყოფო, ციხე. იქაური ინფორმაცია ბოლოს მაინც ჩვენთან მოვა.

**– ახლა, ოფიციალურად, „ჩაწერა-ამოწერა“ აღარ არსებობს. როგორ აპირებთ შეცდომების გამორიცხვას, ხომ შეიძლება, ერთი ადამიანი ორსამჯერ მოხვდეს სააღწერო ფურცელში?**

– ეს საშიშროება, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ გვაქვს მექანიზმი, რომელიც ცდომილებას მინიმუმამდე დაიყვანს. გარდა ამისა, პარლამენტმა უკვე მიიღო არსებული კანონის შესწორება და ახლა მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაცია სავალდებულოა.

**– კი, მაგრამ, ხომ შეიძლება, კაცი ქუთაისიდან თბილისში ისე წამოვიდეს, რომ იქაურ ორგანოებს არაფერი გააგებინოს?**

– თბილისში რეგისტრაციაში გავლის შემდეგ ქუთაისის შესაბამის უწყებას ოფიციალურად ეცნობება ამის შესახებ. ასე რომ, მისი „გაუჩინარება“ გამორიცხულია. უცხოეთში აქვთ ე.წ. რეგისტრები, სადაც ყველა ცვლილება აღინუსხება. რეგისტრების მიხედვით ხდება ნებისმიერი ადამიანის მოძებნა. მაგრამ ჩვენისთანა ქვეყნისათვის ეს ძალზე ძვირი სიამოვნებაა. ვიდრე ასეთი ფუფუნების უფლება გვექნება (ამისი შესაძლებლობა ათიოდე წლის შემდეგ თუ მოგვეცემა), გვინდა მოვამზადოთ და პარლამენტს შევთავაზოთ კანონპროექტი მოსახლეობის რეგისტრაციის შესახებ. დღეს აღწერის ამოსავალი უნდა იყოს შესაბამისი კანონი, რომელიც მოქალაქეს აღწერაში მონაწილეობას დაავალდებულებს. 1989 წელს ერთობ რთული ვითარება იყო, მაგრამ აღწერა მაინც მოეწყო. ახლა რაღა შეგვიშლის ხელს? მართალია, ვითარება არც ახლა არის მთლად სასურველი, მაგრამ, რაც მთავარია, სტაბილიზაცია აშკარად გამოიკვეთა. ეს კი ჩვენი მუშაობის წარმატების უპირველესი გარანტიაა. ისე, აქვე დავძენ, რომ სანამ ახალი კანონი გვექნება (აღწერამდე ხომ არც ისე დიდი დრო დარჩა!), სავსებით შესაძლებელია ამჟამად არსებულში სათანადო ცვლილებების შეტანა. ეს შესაძლო შეცდომებისგანაც დაგვაზღვევდა.

**– რა პრინციპით მოხდება აღწერისათვის საჭირო პერსონალის შერჩევა, ნებაყოფლობით თუ ადმინისტრაციული წესით?**

– მხოლოდ ნებაყოფლობით! ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, რეგიონული მმართველობის ორგანოებში განცხადება შეიტანოს, აღწერაში მონაწილეობის მიღება მსურსო. იქ უთუოდ გაითვალისწინებენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, მხედველობაში მიიღებენ ცოდნას, ერუდიციას, პატიოსნებას, შრომისმოყვარეობას.

**– შრომას აუნაზღაურებენ?**

– რა თქმა უნდა! მაგალითად, სააღწერო სექტორის გამგეები 60 დღეში (დეკემბერ-იანვარში) 200 ლარს მიიღებენ, ინსტრუქტორ-კონტროლიორები ერთ თვეში 90 ლარს, ხოლო აღმწერები 20 დღეში 70 ლარს.

**– რაიმე გიშლით ხელს?**

– რაც ფულთან არ არის დაკავშირებული, არაფერი, მაგრამ, აი, სადაც ფული გვჭირდება... მაგალითად, სახლების სიების დასაზუსტებლად 121 კაცი მუშაობდა, მაგრამ ბიუჯეტის სიმწირის მიზეზით შრომა დღემდე ვერ ავუნაზღაურეთ. არადა, ამ ხალხს უკვე აქვს სათანადო გამოცდილება. მოისურვებენ ისინი ჩვენთან ურთიერთობის გაგრძელებას? ამიტომ ფინანსური უზრუნველყოფა აუცილებელიც არის და მნიშვნელოვანიც.

**– რომელ უწყებას დაევალა თქვენი დახმარება, რათა აღწერაში ხელი არ შეგეშალოთ?**

– თითქმის ყველას, ვისაც კი ამ ღონისძიებასთან რაიმე კავშირი აქვს. განსაკუთრებით კი შინაგან საქმეთა, კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტროებს. რა თქმა უნდა, მათ შორის არიან ადგილობრივი მმართველობის ორგანოებიც. ყველგან შეიქმნება აღწერის ხელშემწყობი საორგანიზაციო კომისიები.



ესაუბრა
ელგუჯა ლებანიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონი

# შიდა ქართლი

საქართველოს მოსახლეობის 1999 წლის საყოველთაო აღწერისათვის მოსამზადებელი სამუშაოები შიდა ქართლში წინასწარ შემუშავებული გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს. რეგიონში შექმნილია აღწერის 70 საორგანიზაციო სახელმწიფო კომისია, მათგან 1 სამხარეოა, 4 რაიონული, ხოლო 65 სადაბო და სასოფლო საკრებულოებთან არსებობს – აღინიშნა შეხვედრაზე, რომელიც საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულთან შიდა ქართლის მხარეში ირაკლი ბოჭორიძესთან გაიმართა საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის თეიმურაზ ბერიძის ინიციატივით. შეხვედრა არა მარტო მოსახლეობის აღწერის პრობლემებს მიეძღვნა, არამედ საქართველოს, და კერძოდ, შიდა ქართლის მხარეში სტატისტიკის სფეროში არსებულ მრავალ საყურადღებო საკითხსაც შეეხო.

*დასაქმება.* ეკონომიკური აქტივობის მიხედვით, შინამეურნეობებზე დაკვირვების მონაცემებით, რეგიონი ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის დონეზეა. დასაქმებულთა სტრუქტურაში თვითდასაქმებულების რაოდენობა თითქმის სამჯერ სჭარბობს დაქირავებული შრომით დასაქმებულთა რაოდენობას, რაც მეტია ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე. უმუშევრობის დონის მიხედვით (4.2 პროცენტი) რეგიონი ახლოსაა სხვა რეგიონებთან (კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, გურია).

დაქირავებით დასაქმებულთა 85 პროცენტი სახელმწიფო სექტორში მუშაობს, კერძო სექტორში დასაქმებულთა წილი, შესაბამისად, 15 პროცენტამდეა. სხვა რეგიონებთან შედარებით კერძო სექტორი შიდა ქართლში სუსტადაა განვითარებული. თვითდასაქმებულთა დიდი უმრავლესობა (ისევე, როგორც სხვა რეგიონებში) საკუთარ მამულში საქმიანობს.



*სასოფლო-სამეურნეო აქტივობა.* სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული მიწის ფართობი საშუალოდ ერთ შინამეურნეობაზე 0.64 ჰექტარია (სოფლად 0.9, ქალაქად – 0.14), ამ მაჩვენებლით რეგიონი ჩამორჩება მხოლოდ კახეთსა (0.71) და გურიას (0.74). გამოყენებული მიწის ნაკვეთების 91 პროცენტი კერძო საკუთრებაშია, რაც ნაკლებია სხვა რეგიონების ანალოგიურ მაჩვენებლებზე. შიდა ქართლში ყველა სხვა რეგიონთან შედარებით მოჰყავთ მეტი ხორბალი, კომბოსტო და ხილი. რეგიონის ყოველ 100 მეჯლობელს საშუალოდ ჰყავს 141 ძროხა, 100 ხარი, 350 ცხვარი...

*შემოსავლები.* ფულადი შემოსავლები რეგიონში ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ნაკლებია. მის სტრუქტურაში, სხვა რეგიონებთან შედარებით, სჭარბობს შემოსავლები სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვიდან. სხვა რეგიონებთან შედარებით, აქ ჭარბობს მოწეული მოსავლის მოხმარების დონე.

*ხარჯები.* შემოსავლების მსგავსად აქ ფულადი ხარჯების დონე სხვა რეგიონებზე ნაკლებია, მაგრამ დიდია საკუთარი ნაწარმის მოხმარება, რის შედეგადაც მთლიანი ხარჯები ამ რეგიონში ქვეყნის საშუალო მაჩვენებლის დონეზეა.

*დემოგრაფიული მდგომარეობა.* 1998 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (წინასწარი გაანგარიშებით) სახეზე მყოფი მოსახლეობა 413.7 ათას კაცს შეადგენდა, რაც 1.5 ათასით მეტია 1991 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. მოსახლეობის რიცხოვნობის მატება ასეთია: გორის რაიონი – 0.8 ათასი, კასპის – 0.7 ათასი, ქარელის – 0.5 ათასი და ხაშურის – 2.9 ათასი.

დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, შიდა ქართლში შინამეურნეობების წევრთა სულადობა საშუალოდ 3.45–ის ტოლია და ეს მაჩვენებელი, გურიის გარდა, ყველა სხვა რეგიონზე ნაკლებია. ამასთან, სხვა რეგიონებთან შედარებით (გურიის გარდა), ნაკლებია მოსახლეობაში ახალგაზრდებისა და ბავშვების წილი. ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე ასევე ნაკლებია ხანშიშესულების წილი.

სასწავლებლად, სამუშაოდ და სხვა მიზეზის გამო მიგრაციის დონე ამ რეგიონში, სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე დაბალია (1 პროცენტი სახეზე მყოფთაგან).

*მრეწველობა.* 1998 წლის იანვარ-მარტში შიდა ქართლში მრეწველობის მიერ წარმოებული პროდუქციის მოცულობა მოქმედ ფასებში 5022.6 ათას ლარს შეადგენდა. წარმოების მოცულობა წინა პერიოდთან შედარებით 45.6 ათასი ლარით (0.9 პროცენტით) გაიზარდა შესადარ ფასებში.

1998 წლის I კვარტალში წარმოების ზრდის ტემპი 4.1 პროცენტული პუნქტით ჭარბობს ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს. წარმოებული პროდუქციის 69.3 პროცენტი (მოქმედ ფასებში) გორის რაიონის მრეწველობაზე მოდის. ამ რაიონში ზრდის ტემპი წინა წლის პირველ კვარტალთან შედარებით 100.1 პროცენტია. წარმოების ზრდის შედარებით მაღალი ტემპი ახასიათებს ქარელისა და კასპის რაიონებს, რომელთა წარმოების ზრდის ტემპები წლევანდელი წლის პირველ კვარტალში, წინა წლის იმავე პერიოდთან შედარებით, 105.9 და 103.8 პროცენტს შეადგენს, რაც, შესაბამისად, 5 და 2.9 პროცენტით მეტია მხარის წარმოების ზრდის საშუალო ტემპზე (100.9 პროცენტი).

*განათლება.* უკანასკნელ წლებში მიმდინარე ურთულესმა პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა მოვლენებმა უკიდურესად დაამძიმა განათლების სისტემის მდგომარეობა, როგორც მთლიანად ქვეყანაში, ისე შიდა ქართლშიც.

შიდა ქართლში არის 91 სკოლამდელი დაწესებულება 4.4 ათასი აღსაზრდელით. 1990 წელთან შედარებით, სკოლამდელი დაწესებულებების ქსელი შემცირდა 41 ერთეულით, ანუ 31.1 პროცენტით, აღსაზრდელთა რიცხვი კი - 6.7 ათასით, ანუ 2.5-ჯერ.

1997-98 სასწავლო წლის დასაწყისისათვის შიდა ქართლში მუშაობდა 251 სკოლა, სადაც სწავლობდა 54.6 ათასი მოსწავლე. მათ შორის 3.3 პროცენტი სწავლობს ფასიან ჯგუფებში. საშუალოდ ერთ სკოლაში ირიცხებოდა 218 მოსწავლე (მთლიანად ქვეყანაში - 224).

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში დასაქმებული იყო 4898 პედაგოგი. მათგან 3280, ანუ 67 პროცენტი, უმაღლესი განათლებითაა.

უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლებით კადრებს ამზადებს 2 სახელმწიფო და 3 არასახელმწიფო (საერო) ფასიანი უმაღლესი და 5 სახელმწიფო და 2 არასახელმწიფო (საერო) ფასიანი საშუალო სპეციალური სასწავლებელი, სადაც ირიცხება 6394 სტუდენტი და 1272 მოსწავლე.

*კულტურა.* 1997 წლის დასაწყისისათვის შიდა ქართლში საქმიანობდა 270 ბიბლიოთეკა, 149 საკლუბო დაწესებულება, 5 მუზეუმი, 2 ტელეკომპანია („შპს ქართლი" და „ტვ - 9"), გამოდიოდა 4 გაზეთი.

გ. ერისთავის სახელობის დრამატულმა თეატრმა 37 სპექტაკლი უჩვენა მაყურებელს, მათ შორის, 5 ახალი.

*ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.* 1996 წელს აღირიცხა 14 სტაციონარული დაწესებულება, (1.5 ათასი საწოლი ფონდით), 83 ამბულატორიულ-პოლიკლინიკური დაწესებულება, 18 საფერშლო-საბებიო და 1 საექიმო ჯანპუნქტი, სადაც დასაქმებული იყო 661 ექიმი და 1500 კაცი საშუალო სამედიცინო პერსონალი.

შიდა ქართლში მოსახლეობის 20.5 პროცენტი პენსიონერია (მთლიანად ქვეყანაში – 18.8 პროცენტი). განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს მათთვის პენსიების დროულად გაცემის საკითხი.

---

გარდა ამისა, შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორებიცაა: ძირითადი ფონდების გადაფასება, საწარმოთა ერთიანი სახელმწიფო რეგისტრის (ბიზნეს-რეგისტრი) წარმოება, ჩრდილოვანი ეკონომიკა, ამ სფეროში სტატისტიკისა და საგადასახადო სამსახურის ერთობლივი საქმიანობის აუცილებლობა და სხვ.

პრეზიდენტის რწმუნებულმა შიდა ქართლში ირაკლი ბოჭორიძემ ხაზი გაუსვა სტატისტიკური ინფორმაციის მნიშვნელობას არა მარტო რეგიონის, არამედ საერთოდ ქვეყნის მართვისათვის საჭირო სწორი გადაწყვეტილების მიღებაში. აქედან გამომდინარე, მან სრული მხარდაჭერა აღუთქვა სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტსა და მის სამხარეო სამმართველოს.

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ თეიმურაზ ბერიძემ აღნიშნა, რომ მსგავსი შეხვედრები დაგეგმილია საქართველოს სხვა რეგიონებშიც, რაც, გარდა იმისა, რომ დააახლოებს ცენტრსა და რეგიონებს, ხელს შეუწყობს, სტატისტიკისადმი მოსახლეობის, საზოგადოების სწორი დამოკიდებულების განსაზღვრას. ეს კი, თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას მოახდენს ზუსტი ინფორმაციის მოწოდებაზე.

გახსენება

## ჩვენი სათაყვანო პროფესორი



ქართული სტატისტიკის მეცნიერებაში ფილოსოფიური მიმდინარეობის თეორიული საფუძვლების გათვალსაჩინოებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის პროფესორ შოთა ბერაძის შრომებს. განსაკუთრებით საყურადღებოა მისი ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევა „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოსახლეობის რიცხობრიობის, შემადგენლობისა და კვლავწარმოების ძირითადი პრობლემები". ამ საკითხზე მეცნიერს გამოქვეყნებული აქვს 120-ზე მეტი შრომა.

აღსანიშნავია პროფესორ შ. ბერაძის დამსახურება მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერებში (1939, 1959, 1970, 1979 წ.წ.), რომელთა აქტუალურ პრობლემებს მან არაერთი საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევა მიუძღვნა. მუშაობდა საქართველოს ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კონსულტანტად, სამეცნიერო საექსპორტო საბჭოს წევრად, იყო სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოსახლეობის შემსწავლელი სამეცნიერო საბჭოს, საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სამეცნიერო საექსპერტო და რამდენიმე სხვა საბჭოს წევრი.

პროფესორი შ. ბერაძე იყო მრავალი სიმპოზიუმის, სამეცნიერო კონფერენციისა და თათბირის მონაწილე.

დიდი მეცნიერული ერუდიციითა და უტყუარი პედაგოგიური ალღოთი დაჯილდოებული ადამიანი ახალგაზრდებში მეცნიერული ინტერესების და შემოქმედებითი აზროვნების გაღვივების ჭეშმარიტი ოსტატი იყო. მისი ხელმძღვანელობით ბევრი ასპირანტი და ხარისხის მაძიებელი ეზიარა მეცნიერებას, რითაც მტკიცე საფუძველი ჩაეყარა ეკონომიკურ მეცნიერებათა დარგში სათანადო პედაგოგიურ და მეცნიერულ ცვლას.

თავისუფალი საქართველოსათვის ზედმიწევნით საჭირო და ღირსეული ადამიანი ბრძანდებოდით, ჩვენო სათაყვანო პროფესორო. გვენატრებით, თქვენს საფლავს ყვავილებით შევამკობთ. სიკვდილი რომ არა, სიყვარულით მოგილოცავდით დაბადების 90 წელს... თუმცა, ეგებ ასეც სჯობდა – მან ხომ უდიდესი ტკივილი აგაცილათ, რასაც ერთადერთი, საყვარელი შვილიშვილის დაკარგვა მოგაყენებდათ.

ყოფილი სტუდენტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ისტორია

მოსახლეობის საყოველთაო აღწერას ეკონომიკური და სოციალური ორიენტირების განსაზღვრისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა რომ აქვს, ამას ყველაზე სასტიკი და ველური დამპყრობლებიც კი ხვდებოდნენ.

VII საუკუნეში საქართველო არაბებმა დაიპყრეს. მათ ყველაზე ადრე ხარკისა და სამხედრო სამსახურის (ანუ ჯარის გამოყვანის) საქმე მოაგვარეს. აღწერეს მოსახლეობა ან ჩვენს ქვეყანაში უკვე არსებული დავთრებით ისარგებლეს და შესაბამისად დააწესეს გადასახადები. დასაწყისში იგი არ იყო ძალიან მძიმე: ქართველები არაბთა სასარგებლოდ იხდიდნენ ჯიზიათს (პირად გადასახადს) — კომლზე თითო დინარს, ანუ დრაჰკანს (ოქროს ფული წონით ერთ მისხალამდე); ქართველებს არ უნდა შეეერთებინათ კომლები გადასახადის შესამცირებლად, არაბებს კი არ უნდა დაეყოთ კომლები გადასახადის გასადიდებლად, ქართველებს ევალებოდათ არაბთა ჯარის, და საერთოდ, მუსულმანთათვის დახმარება.

VIII საუკუნეში საქართველოს მოსახლეობა არაბებს უკვე არა მარტო ჯიზიათს უხდიდა, არამედ ხარაჯასაც — საადგილმამულო გადასახადს, რომელიც შეეფარდებოდა მხოლოდ მამულის ფართობს და არა მის ნაყოფიერებას. ესეც ფულადი გადასახადი იყო.

შემდეგ და შემდეგ არაბული ხარკი სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა. VIII საუკუნის დამლევის მწერალი იოანე საბანისძე წერს: „ვართ მორწმუნენი მძლავრებასა ქვეშე დამონებულ და ნაკლულევანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქვეშე მათსა გვემულნი და ქენჯნილნი, ძვირ-ძვირად ზღვეულნი“-ო — ე.ი. ჩვენ, ქართველები, არაბთა მძლავრობის ქვეშ მოქცეულნი, სიღარიბითა და შეუძლოებით ისე ვართ შეკრული, როგორც რკინით, რადგანაც საარაბო ხარკისგან დატანჯული და დარბეული ვართო.

XIII საუკუნის შუა ხანებში კი საქართველო მონღოლთა უღელში მოექცა. ამ პერიოდისათვის მონღოლებმა ძირითადად უკვე დაასრულეს დიდი ქვეყნების დაპყრობა და მათს წინაშე დაისვა დაპყრობილი ქვეყნების მართვა-გამგეობის საკითხი.

დაწინაურებული ფეოდალური ქვეყნების მართვა მონღოლთათვის გაცილებით უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე მათი დაპყრობა. საქმე ის იყო, რომ გამუდმებული წარმატებული ლაშქრობის შედეგად წარმოიშვა მონღოლთა უზარმაზარი სახელმწიფო ყაენის კარით, მონღოლი უფლისწულებით, მრავალრიცხოვანი პრივილეგირებული მოლაშქრეებითა და აურაცხელი მოხელეებითურთ. ყოველივე ამის შენახვას კი მეტისმეტად დიდი ხარჯი სჭირდებოდა. ვიდრე მონღოლები ქვეყნებს იპყრობდნენ,მათ შემოსავალს უპირატესად ამ ქვეყნებში ნაშოვნი ნარბევ-ნაალაფევი შეადგენდა. მაგრამ რაც უფრო მეტი დაპყრობილი ქვეყანა შედიოდა მონღოლთა სახელმწიფოს შემადგენლობაში, რა თქმა უნდა, მით უფრო კლებულობდა ნარბევ-ნაალაფევი, ხოლო მონღოლთა სახელმწიფოს ხარჯები, ამ სახელმწიფოს ზრდის კვალობაზე, პირიქით — მატულობდა. ამიტომ მონღოლებს ბუნებრივად მოუხდათ სახელმწიფო შემოსავლის ახალ წყაროთა ძიება.

გარდა ამისა, სამხედრო ორგანიზაციის საქმეც მოსაგვარებელი იყო. მონღოლთა თვალუწვდენელი სახელმწიფოს სამხედრო მოთხოვნილებას საკუთრივ მონღოლ-თათართაგან გამომავალი ლაშქარი, ცხადია, არ ჰყოფნიდა. დაპყრობილ ხალხთაგან მოლაშქრეთა ძალით გამორეკვა დროებითი და შემთხვევითი ღონისძიება იყო და მანამ მოქმედებდა, სანამ მონღოლები ამ ქვეყნებს იპყრობდნენ. ახლა მონღოლთა სახელმწიფოს უკვე სურდა სცოდნოდა, დაახლოებით რა რაოდენობის ჯარის გამოყვანა და რამდენი გადასახადის აკრეფა შეეძლო მას.

ამ მიზნით 1254 წელს მთელს




მონღოლთა საბრძანებელში ხალხის აღწერა დაიწყო. აღწერა საქართველოშიც მოახდინეს. რაკი ამ ღონისძიებას სამხედრო და ფინანსური მიზანი ჰქონდა დასახული, აღწერის დავთრებში, ერთი მხრივ, მოსახლეობის შესახებ შეჰქონდათ ცნობები, მეორე მხრივ, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ. აღწერეს მამაკაცები 11-დან 60 წლის ასაკამდე, მთელი პირუტყვი, ყოველგვარი უძრავი ქონება, ყანა, ვენახი, ბოსტანი.

ამ აღწერით მონღოლებმა გამოარკვიეს, რომ ყოველწლიურად საქართველოს უნდა მიეცა მათთვის 90 ათასი მოლაშქრე, 9 სრულმამულიანი გლეხის კომლიდან 1 მოლაშქრის გამოყვანის ანგარიშით. ამის მიხედვით ირკვევა, რომ მაშინდელ საქართველოს სამეფოში სულ 5 მილიონამდე მცხოვრები მაინც უნდა ყოფილიყო. რასაკვირველია, იმდროინდელ საქართველოში იგულისხმებოდა სომხეთიც. მაგრამ უკვე აღარ იგულისხმებოდა არც აღმოსავლეთი ამიერკავკასია (რანი და შირვანი) და არც სხვა ყმადნაფიცი ქვეყნები. ამ ცნობიდან მაინც ჩანს, თუ რამდენად მჭიდროდ იყო დასახლებული მაშინდელი საქართველო, იმის მიუხედავად, რომ მას უკვე ჰქონდა გამოვლილი ჯალალედ-დინისა და ჩინგიზ-ყაენი ორი შემოსევის საშინელება.

აღწერის დამთავრების შემდეგ მონღოლებმა გადასახადების მოწესრიგებაც სცადეს. მათ მეურნეობის თითქმის ყველა დარგი ჰქონდათ დაბეგრილი. სოფლის მეურნეობაზე დადებულ საყაენო გადასახადს მალი ეწოდებოდა. მის გარდა არსებობდა ყაფჩერი, ანუ ყუფჩური — საბალახე გადასახადი: 100 სულ საქონელზე ერთი სული მონღოლებისათვის უნდა მიეცათ. შემდეგ ხანაში ეს საბალახე ფულად გადასახადად აქციეს.

სავაჭრო გადასახადს დამღას უწოდებდნენ: 100 თეთრის (ვერცხლის ფული) ღირებულების ნასყიდობაზე 3 თეთრი, ანუ 3% საყაენო დამღად უნდა გამოერთმიათ.

არსებობდა ისეთი გადასახადებიც, რომლებიც ადგილობრივი მონღოლი მოხელეების სასარგებლოდ იყო განკუთვნილი. ამ გადასახადებს ულუფა ეწოდებოდა. მონღოლთა ათასეულის უფროსისათვის, ანუ ათასეულის ნოინისათვის ყოველ სოფელს ერთი კრავი და ერთი დრაჰკანი (ოქროს ფული) უნდა მიეცა ულუფად, ხოლო ათი ათასეულის უფროსისათვის, რომელსაც დუმენ-ნოინი ეწოდებოდა, 1 ცხვარი და 2 დრაჰკანი უნდა მიერთმიათ.

დასასრულ, მონღოლთა საყაენოში ბეგარაც, ანუ შრომითი გამოსაღებიც არსებობდა: ერთი სამხედრო ბეგარა იყო, რომელსაც მონღოლურად ყალანი ეწოდებოდა, ქართულად — სალაშქრო, მეორე ბეგარას საიამე ერქვა. მონღოლებს ყველა შარაგზაზე, ერთმანეთისაგან გარკვეული მანძილის დაშორებით, სადგურები ჰქონდათ აგებული, რომელსაც იამი ეწოდებოდა. ამ სადგურებზე მოსახლეობას ყაენის მოციქულებისა და მოხელეებისათვის ცხენები უნდა ჰყოლოდა გამზადებული და საკვები და სადგომიც უნდა მიეცა. ეს ბეგარა ისეთი საშინელი ტვირთი იყო, რომ საიამე სოფლიდან მთელი ხალხი გარბოდა.

გარდა ამისა, არსებობდა ჰულაგუ ყაენის მიერ შემოღებული ერთი სამხედრო გადასახადიც — თაღარი, რომელიც შვიდი სხვადასხვაგვარი გამოსაღებისაგან შედგებოდა. თაღარი კაცის თავზე იყო დაწესებული: თითოეულ პირს მონღოლთა ხაზინისათვის უნდა მიეცა 100 ლიტრა პური, 50 ლიტრა ღვინო, 2 ლიტრა ბრინჯი, 3 თოფრაკი, 2 თოკი, თითო ისარი, თითო ნალი, თითო თეთრი, ამის გარდა, მას უნდა გადაეხადა 20 პირუტყვზე თითო პირუტყვი და 20 თეთრი უნდა გამოეღო.

მაგრამ მონღოლთა ხარკის სიმძიმეს მარტო მისი სიდიდე როდი იწვევდა. არანაკლებ უბედურებას წარმოადგენდა ხარკის განაწილება და განსაკუთრებით კი მისი აკრეფა. გადასახადის აკრეფა ყაჩაღთა ბრბოს თარეშს უფრო ჰგავდა, ვიდრე სახელმწიფო მოხელეების საქმიანობას.

ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით გამოქვეყნებული „საქართველოს ისტორიის“ მიხედვით.

# ფესვები

საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ისტორიულ ურთიერთობათა შესწავლა ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის ერთ-ერთი აქტუალური და მნიშვნელოვანი პრობლემაა. ცნობილია ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა, ხელოვნებათმცოდნეთა და ანთროპოლოგთა კვლევის შედეგები. ამ მიმართულებით დიდ ინტერესს იმსახურებს ქართული არქეოლოგიის ფუნდამენტური მეცნიერული მიება (ლინგვისტურ და ანთროპოლოგიურ მეცნიერებათა შუქზე), რომლითაც შეინიშნება ზედა პალეოლითში კავკასიის ეთნო-კულტურული თუ ისტორიული ერთობა. ისტორიული განვითარების ძალით მეზოლითსა და ნეოლითში წარმოშობილი დიფერენციაციით, ეს ერთობა ძვ. წ. V-IV ათასწლეულებში იშლება და ძვ. წ. III ათასწლეულისათვის ყალიბდება კავკასიის მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ჯგუფები.



დათუნას ეკლესია დაღესტანში

უახლეს არქეოლოგიურ გამოკვლევათა ფონზე სულ უფრო მზარდ ყურადღებას იპყრობს XI ს. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის მონაცემები საქართველოსა და კავკასიის უძველესი ისტორიის შესახებ და, განსაკუთრებით, მისი ეთნო-გენეტიკური კონცეფცია, რომლითაც კავკასიის ხალხები საერთო წინაპრის — ბიბლიური თარგამოსის შთამომავლებად ცხადდებიან.

კავკასიის ხალხთა უახლოესი ნათესაობის ლეონტისეული ეს კონცეფცია, რომელიც ბ-ნ სიმონ ჯანაშიას მიერ „ჰუმანისტურ თეორიადაა“ შეფასებული, უძველეს ტრადიციებსაც გამოხატავდა და თავისი ეპოქის სულისკვეთებასაც. იგი იმითაცაა საინტერესო, რომ ადრეფეოდალური ხანის მიწურულს საერთო-კავკასიური სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პერიოდში შემუშავდა.

ანტიკური პერიოდიდან, საქართველოში სახელმწიფოებრიობის წარმოშობიდან, საქართველოსა და კავკასიის ხალხთა ურთიერთობანი (რომლებიც ისტორიულად არასოდეს შეწყვეტილა, რაც დასტურდება წინარე ეპოქების არქეოლოგიურ კულტურებში), კიდევ უფრო ძლიერდება. ეს ურთიერთობანი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურულ-რელიგიური ხასიათისაა. შუასაუკუნებიდან კი, რელიგიურ-იდეოლოგიურ და კულტურულ საფუძვლად ქრისტიანული რელიგია და ფეოდალური კულტურა გვევლინება, რაც კიდევ უფრო აახლოვებდა საქართველოსა და კავკასიის ხალხებს ერთმანეთთან და აძლევდა საშუალებას გადაეწყვიტათ ისტორიული განვითარების შედეგად მათ წინაშე წამოჭრილი პრობლემები.

ქართული არქეოლოგიური კავკასიოლოგიის მიერ 1970-80 წლებში შემუშავებულ ახალ მტკიცებათა კომპენდიუმით, სწორედ X ს. II ნახევრიდან იწყება იმიერკავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის გავრცელება-დამკვიდრება. საქართველოს სრულ გაერთიანებამდე ჩრდილო-დასავლეთ იმიერკავკასიაში ქრისტიანობის გამავრცელებელი, ბიზანტიასთან ერთად, დასავლეთქართული სამეფო — აფხაზეთია, ცენტრალურსა და აღმოსავლეთ იმიერკავკასიაში (დვალეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი, დაღისტანი) — ქართლი და კახეთის სამთავრო-სამეფო, ხოლო გაერთიანების შემდეგ — საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება. ცალკე აღინიშნება ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის უდიდესი როლი. საყოველთაოდაა ცნობილი, თუ რა ღვაწლი მიუძღვის ქართულ ეკლესიას ადრეფეოდალური ხანის მიწურულს საქართველოს გაერთიანებაში. გიორგი მერჩულესეული — „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“, უკვე X ს. ბოლოსა და XI ს. დასაწყისში შეიძლება გავრცელდეს იმიერკავკასიაზეც. ჩვენს ხელთ არსებული მატერიალური კულტურისა და წერილობითი წყაროების მონაცემები მტკიცე საფუძველს ქმნის შუაფეოდალურ ხანაში იმიერკავკასიის ქვეყნებში ქრისტიანული რელიგიის არსებობა ოფიციალურ ფეოდალურ-კლერიკალურ ხარისხში მივიჩნიოთ, რომელიც, როგორც ჩანს, ახლოს იყო ორთოდოქსულ-დოგმატურ ნორმებთან და რომელიც შეიძლება განვითარდეს მხოლოდ მაშინ, თუ მას ამკვიდრებს და მხარს უჭერს ოფიციალური საეკლესიო ორგანიზაცია და სახელმწიფო ძალაუფლება.

ჩრდილოეთ კავკასიაში ქრისტიანული რელიგიისა და ფეოდალური კულტურის გავრცელება-დამკვიდრება და ამით საერთო კონფესიურ-კულტურული ერთობის შექმნა მჭიდრო კავშირშია კავკასიის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებასთან (ფეოდალურ-ფორმაციული ხასიათის მჯრები, ჩრდილოელ მომთაბარეთა და ძლიერი სამხრეთელი სახელმწიფოებისაგან თავდაცვა, მთისა და ბარის ეკონომიკური კავშირები და სხვა). მან შუაფეოდალურ ხანაში წარმოშვა წინა აზიაში ერთ-ერთი უძლიერესი საერთო-კავკასიური სახელმწიფოებრივი გაერთიანება. კავკასიის ინტეგრაციის ეს ევოლუციური პროცესი, რომელიც პოზიტიური ისტორიული მოვლენა იყო, შეწყდა თათარ-მონღოლთა და, განსაკუთრებით თემურ-ლენგის შემოსევათა შემდეგ. წარმოიშვა ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული რეგრესი, განვითარდა ცენტრიდანული ძალები, რომელთაც დაშალეს არა მარტო მთლიანად კავკასიის, არამედ მისი ცალკეული მხარეების ერთობაც. ბუნებრივია, იშლება კონფესიურ-კულტურული ერთიანობაც და ირღვევა ქრისტიანული რელიგიისა და კულტურის საფუძვლებიც. ჩრდილოეთ კავკასიაში თანდათან, ხშირად იარაღის ძალით, ვრცელდება და მკვიდრდება ისლამი, რომელმაც ახალი პოლიტიკურ-სოციალური და კულტურული ტენდენციები წარმოშვა.

საერთო-კავკასიური საფუძვლების მოშლას გვიანფეოდალურ ხანაში ჩრდილოეთ კავკასიის მხრიდან საქართველოსთვის უმძიმესი შედეგები მოჰყვა. XIX — XXსს. კავკასიაში რუსეთის პოსტფეოდალურმა და შემდეგ სოციალისტურმა იმპერიალისტურმა კურსმა კიდევ უფრო დააცილა ერთმანეთს კავკასიის ხალხები პოლიტიკურად, ეკონომიკურად, კულტურულად... გარკვეული ცდები კავკასიის გამთლიანებისა XVIII-XX სს. განმავლობაში, კრახით დამთავრდა.

XX ს. მიწურულს კავკასიაში თავს იყრის მრავალი ქვეყნის (რუსეთის, „აღმოსავლეთისა“ და „დასავლეთის“ ქვეყნების) ინტერესები. თავისი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, იგი მახლობელ აღმოსავლეთში მსოფლიოს პოლიტიკურ-სტრატეგიულ-ეკონომიკურ და რელიგიურ-კონფესიურ-კულტურულ ინტერესთა გზაჯვარედინზეა. ამავე დროს, შიდა ეთნიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ და ხშირად ხელოვნურად შექმნილ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებზე აღმოცენებული წინააღმდეგობანი საშიშ და ფეთქებად რეგიონად აქცევს მას.

XX ს. მიწურულს კავკასიის წინაშე ორი გზა ისახება: პირველს მივყავართ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკოლოგიურ იზოლაციონალიზმამდე და კატასტროფამდე, მეორე გზა აღმშენებლობითია.

კავკასია ბუნებრივად ჩამოყალიბებული ერთიანი ორგანიზმია და მისი მშვიდობიანი და წარმატებული განვითარებისათვის აუცილებელია მხარეთა შორის მაქსიმალურად ჰარმონიული ერთიერთობების განვითარება (ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, მეცნიერული, ეკოლოგიური, რელიგიური შემწყნარებლობის, „სახალხო დიპლომატიისა“ და სხვა ასპექტები).

თავისთავად ცხადია, პრობლემის მთლიანობა არ გამორიცხავს და აუცილებლადაც განსაზღვრავს მისადმი დიფერენცირებულ მიდგომას...

ჩვენშია ხალხთა, კულტურათა, რელიგიათა თანაარსებობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიული გამოცდილება, წინაპართა ბრძნული დიპლომატიის, მშვიდობიანობის, ომისა და მშვიდობის, მეგობრისა თუ მტრის ღირსებათა დაფასება-აღიარებისა, მშვიდობიანობის დამამყარებელი ქალის მიმართ რაინდული დამოკიდებულების კოდექსი. ესაა მირ-მეელი საერთო-კავკასიური სულიერი მწვერვალები. უნდა ვესწაფოდეთ მათკენ.

გივი ღამბაშიძე,
საქართველოს პრეზიდენტთან არსებული კომისიის „მშვიდობიანი კავკასიის“ წევრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კავკასიის ქვეყნებთან სამეცნიერო ურთიერთობების კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასახედი

# 1918 – დამოუკიდებელი საქართველო – 1998







## საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები

1918-1921 წწ. საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას საგარეო სავაჭრო კავშირურთიერთობები დამყარებული ჰქონდა შემდეგ ქვეყნებთან: აშშ, ინგლისი, იტალია, საფრანგეთი, გერმანია, ოსმალეთი, სპარსეთი, რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, პოლონეთი, ბელგია, დაღესტანი, ეგვიპტე, ესპანეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ჰოლანდია, ფინეთი, შვეიცარია, შვეცია, ჩინეთი და სხვა.

ექსპორტის სტრუქტურა შემდეგნაირად ხასიათდებოდა:

I – საარსებო საგნებიდან: სიმინდი, ბოსტნეული, ნედლი და ხმელი ხილი, თხილი და კაკალი, კონსერვები, თამბაქო, ჩაი, ღვინო, სპირტიანი სასმელები, ბორჯომის წყალი და სხვა.

II – ნედლი და ნახევრად დაუმუშავებელი საგნებიდან: ხეტყე, ტყავი (დაუმუშავებელი), ქვანახშირი, შავი ქვა, მატყლი, შაბიამანი და სხვა.

III – ცხოველებიდან – ცხენები.

IV – საქარხნო, საფაბრიკო და ხელოსნობის ნაწარმიდან: აგური და კრამიტი, რკინის, საოჯახო და სადურგლო ნაწარმი, პაპიროსის ქაღალდი, სხვადასხვა მანუფაქტურა, ეტლი და სხვ.

იმპორტი – ხორბალი, ხორბლის ფქვილი, ბრინჯი, მარილი, კაკაო, ყავა, თევზი, ხიზილალა, დამუშავებული ტყავი, რკინა, ნავთი, ფეხსაცმელი, ბამბის ქსოვილები, ტანსაცმელი, სანთელი, საინჟინრო იარაღები, ელექტრომოწყობილობა და სხვა.

პროდუქციის ექსპორტს და იმპორტს 1918-1921 წწ. ახორციელებდა ბათუმის, ბოგდანოვკის, გუდაუთის, ვორონცოვკის, თბილისის, ლაგოდეხის, ნატანების, ონის, ოჩამჩირის, სადახლოს, სალოღლის, სოხუმის, ფოთის, ქუთაისის, ყაზბეგის საბაჟო პუნქტები.

1997 წ. ქვეყნის საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1108,7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აქედან ექსპორტმა – 250,1 მლნ. აშშ დოლარი, იმპორტმა – 858,6 მლნ. აშშ დოლარი.

1998 წ. იანვარ-აპრილში საგარეო ბრუნვამ 343,8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, აქედან ექსპორტმა 59,7 მლნ აშშ დოლარი, ხოლო იმპორტმა – 284,1 მლნ. აშშ. დოლარი.

საქართველოს საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები აქვს 93 ქვეყანასთან. ათი უმსხვილესი პარტნიორის ხვედრითმა წილმა მთელ ბრუნვაში 75,1% შეადგინა. უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან რუსეთი (სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურაში – 17,9%), თურქეთი (13,8%), აზერბაიჯანი (11,8%), აშშ (6,1%), უკრაინა (5,3%), ბულგარეთი, ვირჯინიის კუნძულები, იტალია, გერმანია (4,5-3,8%) და სხვა.

ექსპორტის საერთო მოცულობაში ტრადიციულად ყველაზე დიდი წილით წარმოდგება მინერალური წყლები, შავი ლითონის მილები და მილაკები (შესაბამისად თითოეული 7%), ფეროშენადნობები (6,2%), ჩაი (5,5%), აზოტოვანი სასუქები (5,5%). ეს სახეობები მთელი ექპორტის 31,3%-ს შეადგენს.

იმპორტის საერთო მოცულობაში მნიშვნელოვანი წილი ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე მოდის (16% მთელ იმპორტში), სიგარები და სიგარეტები (11,4%), ბუნებრივი აირი (8,9%), ხორბალი (6,1%), მსუბუქი ავტომობილები (4,7%). იმპორტში ამ ხუთი უმნიშვნელოვანესი სახეობის საქონელს 47,2% უკავია.

საბაჟოები, საბაჟო-საგუშაგოები და საბაჟო პუნქტებია: თბილისის რეგიონული საბაჟო (გამშვები პუნქტები: აეროპორტი, წითელი ხიდი, სადახლო, სადახლო-რკინიგზა, გუგუთი, ახკერპი, სამთაწყარო, ვახტანგისი, გარდაბანი–რკინიგზა, ლაგოდეხი,ერის იმედი, საგარეჯო, ჯანდარა); საბაჟო საგუშაგო „ყაზბეგი"; მოძრავი (ცხინვალის) რეგიონული საბაჟო; სამცხე-ჯავახეთის რეგიონული საბაჟო (გამშვები პუნქტები: ვალე-ოჭოსანი, ნინოწმინდა); ქუთაისის რეგიონული საბაჟო (გამშვები პუნქტები: აეროპორტი, მამისონი); ფოთის რეგიონული საბაჟო (გამშვები პუნქტები: ნავსადგური, აეროპორტი, მერიის აეროპორტი, სენაკის აეროპორტი); აჭარის რეგიონული საბაჟო სამმართველო (გამშვები პუნქტები: სარფი, ნავსადგური, აეროპორტი); აფხაზეთის რეგიონული საბაჟო სამმართველო (გამშვები პუნქტები: ფსოუ, გაგრა, ნავსადგური, აეროპორტი).

## შიდა ვაჭრობა

**1918 – 1921 წწ. ქვეყნის შიგნით სავაჭრო დაწესებულებების სხვადასხვა ტიპი მოქმედებდა: ა) ვაჭრობა დახურულ სადგომებში, რომელიც სამ ჯგუფს მოიცავდა:**

**I საერთო ვაჭრობა:**

**კოოპერატიული ვაჭრობა,**

**საზოგადო მომარაგების დუქნები.**

**II ვაჭრობაში შუამავალი საკომისიო მაღაზიები და სხვ.**

III სადგომები საჭმელისა და სასმელის მიწოდებით:

სასტუმროები, ოთახები ავეჯით, ბაკები, სატრაქტირო ხელობა და საზოგადო კვება, აბანოები და საბანაოები.

ბ) წვრილმანი ვაჭრობა სხვადასხვა შერეული საქონლით პატარა მუდმივ სადგომებში. მაგიდა, ჯიხური და ბუდრუგანი.

გ) სატარებელი და საზიდავი ვაჭრობა: საკვები, სურსათი, სასმელები და თამბაქო, ტანსაცმელი, მანუფაქტურა, გალანტერეა, ძველმანი, ბეჭდვითი ნაწარმი.

დ) შერეული სავაჭრო-სამრეწველო (სახელოსნო) დაწესებულებანი (ფურნეები და თონეები, საკონდიტრო, საკანფეტო სახელოსნოები და ერთდროულად სავაჭრო, ქუდების სახელოსნო და ერთდროულად თავსართავით ვაჭრობა, ტანსაცმელების დასამზადებელი სახელოსნო და ერთდროულად ვაჭრობა, ფეხსაცმელების სახელოსნო და სავაჭრო, საათებისა და საიუველირო სახელოსნო და სავაჭრო).

1920 წელს სავაჭრო ობიექტების რიცხვი ტფილისში 7366 ერთეულს შეადგენდა.



ტერმინოლოგია შენარჩუნებულია 1909 – 1921 წ. სტატისტიკის დეფინიციებით.

1998 წ. აღირიცხულია საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების 30 ათასამდე ობიექტი. საქონელბრუნვის მოცულობამ 1997 წელს მილიარდამდე ლარი შეადგინა. საცალო ვაჭრობის მოცულობაში დიდია ბაზრობების წილი 56,5%. კერძო ვაჭრობის წილმა 85,3% შეადგინა. ამ ობიექტებში დასაქმებულია 121,4 ათასი კაცი.

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით, სამეურნეო საქმიანობის ყველაზე გავრცელებული ფორმა ინდივიდუალური საწარმოა, რომელთა წილად 52% მოდის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებზე – 12,6%.

საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის სტრუქტურაში დიდია სასურსათო საქონლის წილი – 68,8%, არასასურსათოსი – 31,2%, თვით სასურსათო საქონლის ჯგუფში 40% პურსა და პურფუნთუშეულზე, ფქვილზე, ბურღულისა და მაკარონის ნაწარმზე მოდის, 7% – ალკოჰოლიან სასმელებზე, 5,5% – შაქარზე და სხვა.

არასასურსათო საქონლის სტრუქტურაში დიდია ნავთობპროდუქტების წილი – 7,8%, წამლებისა და სამედიცინო დანიშნულების საშუალებათა – 4,9%, სამეურნეო საქონლის – 2,4%, ტანსაცმლისა და თეთრეულის – 1,7%.

## ფულის მიმოქცევა

**1918-1921 წ.წ. დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკაში ბრუნვაში იყო შემდეგი ვალუტა: ოქროს თუმნიანი, გირვანქა სტერლინგი, ოქროს ლირა, ოსმალური ქაღალდის ლირა, ფრანგული ფრანკი, ამერიკული დოლარი, გერმანული მარკა, იტალიური ლირა.**

**ერთი ოქროს მანეთის ღირებულება 1919 წ. ივლისში იყო 39,24 ქართული ბონი, რომელიც იმავე წლის დეკემბერში უტოლდებოდა 102,96, 1920 წ. დასაწყისში – 136,98, ხოლო დეკემბერში – 1300 ბონს, 1921 წლის დეკემბერში კი – 57500 ბონს.**

**თუ 1919 წლის დასაწყისში ამიერკავკასიის სეიმის და კომისარიატის მიერ გამოშვებული ბონებიდან საქართველოზე 540 მლნ. ირიცხებოდა, 1919 წ. ივლისიდან საქართველომ ცალკე ემისია დაიწყო.**

1998 წ. 1 იანვრისათვის მიმოქცევაში არსებული ვალუტის მოცულობამ 254,6 მლნ. ლარი შეადგინა, რაც ლარის შემოღების (1995 წ. ოქტომბერი) მომენტისათვის არსებულ მოცულობაზე 2,7-ჯერ მეტია. 1997 წ. განმავლობაში მიღებულ იქნა ახალი კრედიტები 147,4 მლნ. აშშ დოლარის ოდენობით. დეპოზიტების 38,2% უცხოურ ვალუტაში და 23,8% ეროვნულ ვალუტაში მოსახლეობის წილად მოდიოდა.

ეროვნული ბანკის მიერ დადგენილია ლარის კურსი. 1998 წ. მაისში ლარი აშშ დოლართან დაახლოებით 1,335, რუსულ რუბლთან – 0,2180 ლარი იყო.

## ცხოვრების დონე

1920 წელს ტფილისის მუშის და მოსამსახურის ოჯახის (4 სული) თვიური გასავლის ბიუჯეტი %-ობით (დაკვირვების ობიექტი იყო 15 ოჯახი):

| | |
|---|---|
| ფიზიოლოგიური მოთხოვნილება: | |
| საზრდო | 59.89 |
| ბინა, გათბობა, განათება და წყალი | 6.18 |
| ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და საცვალი | 13.48 |
| ნარკოტიკები | 5.15 |
| ჰიგიენა | 4.44 |
| კულტურული და საზოგადოებრივი მოთხოვნილება | 7.13 |
| ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც ოჯახის საჭიროების გარეშე იყო | 1.26 |
| დარჩენილი ხარჯები | 2.47 |

1997 წელს ერთი შინამეურნეობის საშუალო თვიური ხარჯების სტრუქტურა (სტატისტიკური დაკვირვება მოიცავს 3000 შინამეურნეობას).

| | წილი მთელ ხარჯებში | წილი სამომხმარებლო ხარჯებში |
|---|---|---|
| სამომხმარებლო ხარჯები | 63.9 | 100 |
| მათ შორის: | | |
| სურსათზე | 43.2 | 67.6 |
| სასმელზე | 0.6 | 0.9 |
| თამბაქოზე | 1.3 | 2.0 |
| ტანსაცმელსა და ფეხსაცმელზე | 3.4 | 5.3 |
| საოჯახო მოხმარების საქონელზე | 4.2 | 6.7 |
| სამედიცინო მომსახურებაზე | 3.4 | 5.3 |
| ენერგიაზე | 2.6 | 4.1 |
| ტრანსპორტზე | 3.2 | 5.1 |
| განათლებაზე | 1.6 | 2.5 |
| სასოფლო-სამეურნეო ხარჯები | 2.3 | X |
| ტრანსფერტებზე | 0.7 | X |
| დაზოგვასა ან გასესხებაზე | 1.6 | X |
| სხვა გასავალები | 4.6 | X |
| ფულადი ხარჯები | 68.5 | X |
| არაფულადი ხარჯები | 31.5 | X |
| ხარჯები სულ | 100 | X |

1997 წ. დეკემბერში საქართველოს ქალაქების გასაშუალოებული ფასების (ეროვნული ფასების) მიხედვით, საარსებო მინიმუმმა შრომისუნარიანი მამაკაცისათვის 102.2 ლარი შეადგინა,საშუალო მომხმარებლებისათვის – 89.6 ლარი,ხოლო საშუალო (ოთხკაციანი) ოჯახისათვის – 179.3 ლარი.

პუბლიკაცია მოამზადა **ნანა გაწერელიამ,**

საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მერიდიანები

### ახლა, წერთებსაც მიამრავლებენ!

საბერძნეთის მთავრობა ძალზე შეწუხებულია ქვეყანაში დაბალი შობადობით. შარშან ახალშობილთა რაოდენობას გარდაცვლილთა რაოდენობამ 6 პროცენტით გადაამეტა. სწავლულ დემოგრაფთა პროგნოზებით, თუ ასე გაგრძელდა, უახლოეს მომავალში საბერძნეთის მოსახლეობა 10 მილიონამდე შემცირდება. ხელისუფლება მზადაა ყოველი ღონე იხმაროს შექმნილი სიტუაციის გამოსასწორებლად, მაგალითად, შემოიღოს მრავალშვილიანი ოჯახებისა და მომუშავე დედების დახმარების სპეციალური პროგრამა. ეს პროგრამა გაითვალისწინებს ბინის საფასურისა და საშემოსავლო გადასახადების შემცირებას, ერთდროული „ნობათების“ გაცემას, სამუშაო შეღავათების დაწესებას, მრავალ სფეროში უფასო მომსახურებას...

### ეთანხმებით?

რამდენიმე წლის წინათ გაეროს მხარდაჭერით მსოფლიოს ზოგიერთ რეგიონსა და ქვეყანაში მოეწყო გამოკითხვა. მან 100 000 ადამიანზე მეტი მოიცვა, როგორც კაცები, ისე ქალები. გამოკითხვა მოეწყო ქორწინებისა და ოჯახური პრობლემების გამოკვლევის გრძელვადიანი პროგრამების შესაბამისად ქორწინებაში იდეალური პარტნიორის განსაზღვრის მიზნით.

ძირითადი დასკვნა, რომელიც გააკეთეს სპეციალისტებმა—ექიმებმა, ფსიქოლოგებმა, დემოგრაფებმა და სექსოლოგებმა — ასეთია: კაცები, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ეძებენ ისეთ ქალს, რომელსაც კარგი რეპროდუქციული პოტენციალი აქვს, ანუ შეუძლია მუცლით ატაროს და შობოს ჯანმრთელი ბავშვი. ამიტომ სწორედ ის ითვლება ლამაზ ქალად.

ამ მოთხოვნიდან გამომდინარე, სილამაზის ერთ-ერთ მთავარ კრიტერიუმად მიიჩნიეს თანაფარდობა წვრილი წელის და მსხვილი თეძოების გარშემოწერილობას შორის, რითაც უძველესი დროიდან ხასიათდება ქალურობის იდეალი.

საბოლოოდ, მამაკაცთა გამოკითხვის შედეგად იდეალურ ქალებად ჩაითვალნენ ისინი, რომელთა თეძოების გარშემოწერილობა სამჯერ აღემატებოდა წელის გარშემოწერილობას.

### შეისწავლება... ჩხუბი

რას აღარ ითვლიან ეს უცნაური მეცნიერები! მაგალითად, დღეს ოთხშაბათია. იცით, რით არის მნიშვნელოვანი კვირის ეს დღე?

აიოვას შტატის უნივერსიტეტის პროფესორმა სტივ დაგმა გამოთვალა: კვირის განმავლობაში მეუღლეები უფრო ხშირად ოთხშაბათს ჩხუბობენ. რით აიხსნება ეს ფაქტი? მიზეზის შესახებ თვით ამერიკელი მეცნიერიც ვერაფერს გვეუბნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ფაქტი ფაქტად რჩება.

სამაგიეროდ, კანადელი ფსიქოლოგი ჰომბერგი განსაზღვრავს წყვილების ჩხუბის მიზეზს. მის მიერ ჩატარებული გამოკვლევების მიხედვით, ჩხუბში დამნაშავენი, როგორც წესი, ქალები არიან, რადგან მათ კაცებისაგან განსხვავებით კამათის წარმომშობი უკეთესი მექანიზმი აქვთ. მაგალითად, ქმარმა დააგვიანა, ამით გამოწვეული უარყოფითი ემოცია ემატება წინა დღის სიბრაზეს და ჩხუბი თუ არა, კამათი გარდაუვალი ხდება.

## ეს საინტერესოა!

### ყველაზე დიდი ოჯახი თურქეთში

აღმოსავლეთ ანატოლიის ქალაქ მეზრის მერს მეჰმედ გიუნეშს მთელს თურქეთში ყველაზე დიდი ოჯახი აქვს. საარჩევნო კომისიის წარმომადგენელმა ძირითადი დემოგრაფიული მონაცემების ჩაწერას ხუთი საათი მოანდომა!

გიუნეშის ოჯახში 76 კაცია. სამმა ცოლმა მას 40 შვილი აჩუქა. ამას მიუმატეთ 10 სიძე და რძალი და 22 შვილიშვილი.

გიუნეში ფარ-ხმალის დაყრას არ აპირებს — მეოთხე ცოლის მოსაყვანად ემზადება!

### რამდენი შვილის ყოლა სჯობს?

ინგლისის დედოფალი ვიქტორია 9 შვილის დედა იყო. საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV კანონიერი შვილების გარდა 11 ბუშიც ჰყავდა.

მრავალშვილიანობაზე არც რუსეთში ამბობდნენ უარს. პეტრე დიდს 11 შვილი ჰყავდა, თვითონ კი თავისი მშობლების მე-14 შვილი ყოფილა. ლევ ტოლსტოი 13 შვილის მამა იყო. ჯერჯერობით ვერავინ მოხსნა ალექსანდრე დიუმას „რეკორდი“. იგი ტრაბახობდა, 500 შვილი მყავსო...

### ასე იბადება სოფელი

ინდოეთის ასამის შტატში ნაგას ტომის რამოდენიმე ჭაბუკი ოჯახის შექმნას და დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყებას რომ გადაწყვეტს, ჯუნგლებში გამოძებნიან ადგილს სოფლის ასაშენებლად. მაგრამ ვიდრე იქ საცხოვრებლად გადავიდოდნენ, მოჭრიან უზარმაზარ ხეს, გამოუწვავენ გულს და სადღესასწაულოდ მოამზადებენ. ეს სამუშაო ძნელიც არის და მომქანცველიც. თუ ახალგაზრდებს ნებისყოფა არ უღალატებთ და საქმეს ბოლომდე მიიყვანენ, როგორც კი დოლზე პირველად დაჰკრავენ, ახალი სოფელი მხოლოდ ამის შემდეგ იწყებს თავისი წელთაღრიცხვის ათვლას...

შეკრიბა
ნინო მჭედლურმა.

## დიმილი



* * *

სკოლის დირექტორი იძახებს უფროსკლასელს და ეუბნება:

— მეოთხე სართულზე ფანჯარაა, გენაცვალე, შესაღები და შეღებე.

კარგა ხნის შემდეგ საღებავით მოთხუპნული მოწაფე ბრუნდება:

— ჩარჩოც შევღებო?

* * *

მტირალა ბავშვატატებული ახალგაზრდა კაცი შეწუხებული ეუბნება ექიმს:

— ექიმო, მეუღლე მივლინებაში წავიდა და ბავშვი მე დამიტოვა. ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც დამიბარა: ვასეირნებ, ვაბანავებ, ვუკეთებ მასაჟს, ვათბობ კვარცის ნათურით, ვუცვლი პამპერსებს, ის კი მაინც ტირის და ხდება...

— რა საკვებს აძლევთ?

— ფუი ეშმაკს! ვიცოდი, რაღაც მავიწყდებოდა.

* * *

მეგობარი — მეგობარს:

—სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ხუთი ქორწინებიდან მხოლოდ ერთია ბედნიერი.

— ვერაფერს გეტყვი, მხოლოდ მეოთხედ ვარ დაქორწინებული.

* * *

ცხენი — ცხენს:

— ჩემი პატრონი საშინელი ექსპლოატატორია, დილიდან საღამომდე სიქას მაცლის!

— ჰოდა, მიმართე ცხოველთა დაცვის საზოგადოებას.

— გაგიჟდი? პატრონმა რომ გაიგოს წერა ვიცი, მდივნადაც მე მამუშავებს.

* * *

კუპეში ორი მგზავრი ზის. ერთი, დიდი ხნის თვალიერების შემდეგ, მეორეს მიმართავს:

— იცით, ულვაშები რომ არა, ძალიან ემგვანებოდით ჩემს ცოლს!

— კი, მაგრამ, მე რომ ულვაშები არა მაქვს?!

— სამაგიეროდ ჩემს ცოლს აქვს.

## კვიცი გვარზე ხტის!..



## „გინესი“

### იყავ დღეგრძელი, ადამიანო!

როგორც გაირკვა, რუსეთის ფედერაციის სტატისტიკის სახელმწიფო კომიტეტი პერსონალურად არ აღრიცხავს იმ პირთ, რომელთა ხნოვანებამაც შეიძლება გააოცოს ჩვეულებრივი მოკვდავი. სამაგიეროდ,



გაზეთმა „კომსომოლსკაია პრავდამ“ ქვეყნის უხუცესი ადამიანის დასასაჩუქრებლად დააწესა ფერადი ტელევიზორი და დაიწყო კიდეც მისი ძებნა.

და აი, ათობით საუკუნეს გადაცილებულთა შორის ყველაზე ასაკოვანი აღმოჩნდა მარინა ტიმოფეევა, რომელიც 117 წლისაა და ცხოვრობს ბაშკირეთში, ბლაგოვეშენსკის რაიონის სოფელ სტარო-ნადეჟდინოში. ქმარი დაასაფლავა ჯერ კიდევ 1939 წელს. ცხოვრობს შვილთან – 75 წლის ანასთან და შვილიშვილთან ერთად. უვლის ცხვრებს, ქათმებს, სკებს, უყვარს ღუმელის დანთება და იატაკის წმენდა...

16 აპრილს კანადაში გარდაიცვალა ზუსტად ასევე 117 წლის მარია მილერი, რომელიც პლანეტის უხნეს ადამიანად ითვლებოდა და შეტანილი იყო კიდეც გინესის რეკორდთა წიგნში. ბოლო 10 წელიწადი მარია მილერმა მოხუცებულთა სახლში გაატარა. ამ პერიოდში იგი დაყრუვდა და პრაქტიკულად დაბრმავდა კიდეც. მილერს ჰყავდა 12 შვილი, 85 შვილიშვილი, 80 – შვილის შვილიშვილი, 57 – შვილიშვილის შვილიშვილი, 4 – შვილის შვილიშვილის შვილიშვილი... მილერი თავის დღეგრძელობას უმადლოდა ყოველდღიურ ფიზიკურ შრომას. „შრომას ჯერ არავინ მოუკლავს“,– ასე აწერია მის საფლავს.

ამბობენ, რომ ახლახანს ბულგარეთში დაბადების 119-ე წელი იზეიმა ფიმა ხასანოვამ. მაგრამ მას არა აქვს წლოვანების დამადასტურებელი დოკუმენტები. მარინა ტიმოფეევას კი დაბადების მოწმობა საგანგებოდ შემოუნახია. ამის გამო იგი შეიძლება რუსეთის კი არა, პლანეტის უხნეს ადამიანადაც კი ჩაითვალოს.

საერთოდ სტატისტიკა მოწმობს, რომ მსოფლიოში საუკუნეს გადაცილებულთა რაოდენობა 61 ათას კაცს აჭარბებს. აქედან 49 ათასი ქალია, 12 ათასი – კაცი. რუსეთში „ასწლიან ზღურბლს“ გადააცილა 6900-მა, მათგან 255 მოსკოვში ცხოვრობს.

სპეციალისტთა მტკიცებით, ცხოვრების ოპტიმალურ პირობებში ადამიანის გენეტიკური პროგრამა გათვლილია 140-150 წელიწადზე. ბედის ირონიად უნდა ჩაითვალოს ის, რომ სადღეისოდ პლანეტაზე ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 45 წელია (2050 წელს შეიძლება 60-ს მიაღწიოს).

თურმე, ნუ იტყვით და ასაკოვან ადამიანთა ყველაზე დიდი რაოდენობა ცხოვრობს კავკასიაში. ასწლიანები აქ ღვინოსაც აჭაშნიკებენ, თუთუნსაც აბოლებენ და ქალებსაც ეშმაკურად ათვალიერებენო. ასე რომ, ქართველებმა მთლად გული არ უნდა გავიტეხოთ, ჭირსა შიგან გამაგრების ფონზე, სიდუხჭირის მიუხედავად, წესითა და კანონით, კარგა ხანს უნდა ვიცოცხლოთ.

არ დაგავიწყდეთ, მომავალი წელი გაერომ გამოაცხადა დღეგრძელი ადამიანის წლად. დღეგრძელობას გისურვებთ!

ბადრი იაშვილი.

მილიონთა ბიოგრაფია
საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ყოველთვიური გაზეთი

რედაქციის მისამართი:
კ. გამსახურდიას პრ. №4

რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი

გაზეთი რეგისტრირებულია თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ 1998 წლის 26 თებერვალს